გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი   სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 14 ოქტომბერი

მთელი ქვეყანაა და გენერალ კაფფარელის ამბავი. მთელმა ჟურნალ-გაზეთობამ ევროპიისამ ჩაჰკიდა კბილი ამ ამბავს და ათას-ნაირად ჰღეჭავს. წახულია საფრანგეთის საქმეო, ჰყვირიან ამის გამო ერთნი და იფშვნეტენ სიხარულით ხელებს. სად არ მომხდარა მაგისთანა ამბები და ვის რად უკვირსო, იძახიან მეორენი. რა მოხდა ამისთანა და რა არის და ვინ არის ეს გენერალი კაფფარელი, რომ ამისთანა აყალ-მაყალი ასტეხა და ესე ააყბედა მთელი ქვეყანა?

გენერალი კაფფარელი პატარა კაცი არ არის. იგია მეორე კაცი დიდს შტაბში, რომელიც განაგებს მთელის საფრანგეთის მხედრობის საქმესა. იგი თანაშემწეა დიდის შტაბის უფროსისა. ერთმა სამარცხვინო ხელობისა და ქცევის დედა-კაცმა ვიღაც ლიმუზენმა ჩაითრია და გააბა თურმე თავის ბადეში ეს სხვილი თართი და მის მეოხებით და შემწეობით თვითონაც ქრთამი იღო და გენერალსაც არა ერთხელ აღებინა.

ყველამ იცის, რომ ფრანგები მეტად მხუნაგნი არიან ზიზილ-პიპილებისათვის. ოღონდ გულზედ რაიმე ნიშანი დაიკიდონ და ამისათვის დიდს ფულსაც არ დაჰზოგავენ. ეს მხუნაგობა დაიხვიეს ხელზედ ამ ქალბატონმა და ამ გენერალმა და ქრთამით ურიგეს ნიშნები „საპატიო ლეგიონისა“. ეს გაუგო მთავრობამ და გენერალი კაფფარელი გამოძიების ქვეშ ჩავარდა. გამოძიებამ აღმოაჩინა მთელი გუნდი და მთელი ქსელი, ამისათვის გაბმული. აღმოჩნდა, რომ ამ პატიოსანს ხელობას ხელს უწყობდა სენატორი დ-ანდლეცა. პრეზიდენტის გრევის სიძეს ვილსონსაც უპოვეს, რომ იმ სახელოვან ლიმუზენთან მითამ დიდი მიწერ-მოწერა ჰქონია და ამიტომაც ვილსონიც გააბეს ამ სამარცხვინო საქმეში.

რადგანაც გენერალი კაფფარელი ბულანჟეს აეყვანა თავის მინისტრობაში დიდის შტაბის უფროსის თანაშემწედ, რასაკვირველია, ახლოდამ, თუ შორიდამ ბულანჟესაც ჩირქი მოეცხო, მით უფრო, რომ ლიმუზენის სახლში ბულანჟეს სავიზიტო ბარათი იპოვეს. ამ სახით საფრანგეთის დასებს მოედანი გაუვაკდათ ერთმანეთის წადმა-უკუღმა ხსენებისათვის.

ჩვენს მკითხველებს კარგა მოეხსენებათ, რა პატივი და სახელი აქვს დავარდნილი საფრანგეთში ბულანჟეს, რომელიც ამ ბოლოს ხანებში მინისტრობისაგან გადმოაბძანეს, სადაც მიყრუებულ ადგილას კორპუსის უფროსობა მისცეს და თავიდამ მოიშორეს. ამის სამინისტროსაგან გამოკლებას მაშინაც მის მოპირის-პირე დასის ოინებს აბრალებდნენ. ეხლაც, რაკი გამომჟღავნდა უწმინდური საქციელი კაფფარელისა, თვითონ ბულანჟეს და მის მომხრე დასსა ჰგონია, რომ ყოველივე ეს იმიტომ გააზვიადეს და მზეზე გამოჰფინეს, რომ ბულანჟეს სრულებით გაუტეხონ აბრუ და სახელი საფრანგეთში და სცდილობენ ჩირქი ამასაც მოაცხონო. ბულანჟეს ეს გამოუთქვამს კიდეც ხალხში და წამოუძახნია, რომ ეხლანდელი სამხედრო მინისტრი ფერრონი ოინებით ორმოს მითხრისო. ეს ამბავი გაზეთებმა მოსდეს მთელს ქვეყანასა. მინისტრმა ფერრონმა იწყინა და ქაღალდითა ჰკითხა თავის ხელ-ქვეითს ბულანჟეს, მართალია თუ არა ის, რის თქმასაც გაზეთები შენა გწამებენო. ბულანჟეს პასუხად შემოუთვლია, არ ვიცი, მე გაზეთები ჯერ არ წამიკითხავსო. ფერრონმა დააჯახა მეორე ქაღალდი, სთქვი, ჰო თუ არა, სხვა პასუხი აქ უადგილოაო. მაშინ ბულანჟემ მოსწერა, რომ მართალია, ვსთქვიო. ბულანჟე ამის გამო ოც-და-ათის დღით დამწყვდეული იქმნა და ეხლა ამ სასჯელს იხდის.

პრეზიდენტის სიძის ვილსონის გაბმას ამ უწმაწურ საქმეში იმას აწერენ, რომ ვითომ ჟულ ფერრის დასი, რომელსაც ეხლანდელი სამინისტრო ეკუთვნის, დიდიხანია სცდილობს პრეზიდენტს რესპუბლიკისას გრევის ადგილი დააცლევინოს და პრეზიდენტობა ვითომ ჟულ ფერრის ჩაუგდოს ხელში. ანგარიში თურმე ასეთია: თუ ვილსონს დაუმტკიცებენ, რომ ამ სამარცხვინო საქმეში ურევია, ჩირქი თვით პრეზიდენტსაც, როგორც ვილსონის სიმამრს, მოეცხობა და ამის გამო პრეზიდენტი გრევი იძულებულ იქმნება პრეზიდენტობიდამ გადადგესო.

იქნება ყოველივე ეს ტყუილი იყოს, მაგრამ რომ დასთა ბრძოლა და დასებისაგან ერთმანეთის ავად ხსენება, ერთმანეთისათვის ორმოს თხრა არ დაეფიცება საფრანგეთსა,—ეს უეჭველია. რაკი ეს ამისთანა მიზეზიანი საქმე, როგორც გენერალ კაფფარელის საქმეა, გამომზევდა და რაკი თვითონ ბადე მაგ საქმისა იმისთანაა, რომ შესაძლოა კაცმა, თუ მოინდომა, მრავალ გვარად გააბ-გამოაბას, წარმოიდგინეთ, რა ყოფა იქმნება საფრანგეთში, საცა ფეხ-წამოსაკვრელად ერთი დასი მეორეს არა ჰზოგავს. საკვირველი არ იქნება, რომ ამ ამბავმა თვითონ სამინისტროც შეარყიოს.

ადრევაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ ერთი დიდი უბედურობა საფრანგეთისა ამაშია. სხვა ქვეყანაში, რომელსაც ანგარიში გასასწორებელი არავისთან არა აქვს და რომელსაც ხმალ-ამოღებული მტერი თავს არ ადგას, ეგ კაფფარელის საქმე, შინაობაშივე აპილპილებული, შინვე ჩაჰქრებოდა. ბევრს ამისთანა საქმეს დაუღევია ჩაილურის წყალი სხვაგანაც. ხოლო საფრანგეთის გარემოება სულ სხვაა დღეს და ამ გარემოების მიხედვით ეს კაფფარელის საქმე გულს გაუტეხს თვით საფრანგეთსა და ფრთებ ასხმულს იმედს ფრთებს შეუკვეცავს. არ იქნება არ იფიქრონ, რომ მხედრობა, რომელსაც ამისთანა თავი კაცები ჰყავს, შიგნიდამვე გატეხილი ციხეა და ძნელად თუ გაუმაგრდება იმისთანა ერს, როგორიც გერმანიის ერია, საცა პატიოსნება და მოვალეობა თავის მამულის წინაშე შეუმწიკვლელად, დაურღვევლად უმაღლესს წერტილზეა და საცა კაფფარელობა შეუძლებელია. ამითი უფროა უძლეველი გერმანიის მხე-

## ფელეტონი

### სვანური ლეგენდა

### X

როსტომ ქაბუკი (გმირი)

როსტომი იყო თურანელი; სცხოვრობდა ქექევაზ კეისრის საბრძანებელში—ადგილსა „ყარაიას“. თავისი სიცოცხლე როსტომმა დევ-მხეცების და ველურ ღორების ბრძოლაში გაატარა. როსტომს ორი ძმა ჰყავდა—გივი და გურგენი—და ერთიც ძმისწული ბეჟანი[1]), გივის შვილი. ქექევაზ კეისარი დიდს პატივსა სცემდა როსტომს, რადგანაც ის რომ არა, ქექევაზის საკეისროს დევ-მხეცები აიკლებდნენ. გაჩნდებოდნენ დრო-გამოშვებით დევები, მოედებოდნენ საკეისროს და შვილებს, აკვანში მწოლარეს, ართმევდნენ მცხოვრებლებს. ამ დროს ქექევაზი შეეხვეწებოდა როსტომს; ეს უკანასკნელი მოჰყვებოდა ერთი კიდიდგან და მეორე კიდემდე სულ გააწყალებდა მხეცებს, და ამ ნაირად გასწმენდდა სამეფოს. როდესაც როსტომი მოხუცებაში შევიდა, ქექევაზ კეისარმა თავისი ქვეშევრდომნი შეჰყარა და გამოუცხადა: ხომ ჰხედავთ, როსტომი მოგვიხუცდა, ის რომ მოკვდება, ჩვენ დევ მხეცები დაგვეპატრონებიან, ვეცადოთ და მოვახერხოთ, რომ როსტომი უშვილოთ არ გადაგვიშენდეს, თუ მას შვილი დარჩა, მამას ემსგავსება და მამის საქმეს განაგრძობსო. საქმე იმაში იყო, როსტომი, როგორც ჭაბუკი (გმირი), ქალს არ ეკარებოდა. ყრილობაში ერთი ქალი ერია. მან დაიჩემა, რომ როსტომს მე შევუჩნდები და ჩემთან დავაწვენო. ქექევაზ კეისარი დიდ ჯილდოს დაჰპირდა ამ ქალს, თუ იგი დაპირებას აასრულებდა. ხალხი დაიშალა. ამ ქალმა როსტომი დაჰპატიჟა ვახშმად. კარგი ვახშამი აჭამა და ნავახშმევს სთხოვა, ამაღამ მისას მოისვენა. როსტომი პირველად უარზე დადგა, მაგრამ, როცა ქალმა ბევრი სთხოვა, ყაბულს გახდა. ქალმა სამს ადგილას დააგო ლოგინი. უჩვენა ერთი ლოგინი როსტომს და მოასვენა. უცადა და როცა შეატყო, რომ როსტომს დაეძინაო, ადგა ეს ქალი და მიუწვა. როსტომმა ეს იწყინა და უთხრა: შე ბოროტო (გვეფ) დედაკაცო, როგორ გაბედე ჩემთან მოსვლა და დაწოლა, ხომ იცი, რომ ჩემის გვარის კაცი ქალთან არა წვება, რადგანაც ღვთისაგან მოცემული გვაქვს ჭაბუკობა (გმირობა) და არა ქალების არშიყობა. ადგა როსტომი, ეს ლოგინი მიატოვა, მეორეში ჩაწვა. როდესაც აქაც დაეძინა, ქალი კიდევ მივიდა და მიუწვა. უარესად გაჯავრებული როსტომი აქაც ადგა და მესამე ლოგინში ჩაწვა. აქაც მივიდა ქალი. როსტომი ადგომას და სახლიდგან წასვლას აპირობდა, მაგრამ ქალმა ხელი სტაცა და უთხრა: მე არ ვიცოდი, თუ შენ, ამისთანა ჭაბუკს, მამა-კაცობა არა გქონდა, თორემ არ მოგიწვებოდიო. „ფუ! დაგწყევლა ღმერთმა, ქალი ყოველთვის ეშმაკია“. შერცხვა ქალის სიტყვებზე და დაწვა მასთან. მეორე დღეს ადრე ადგა. ქალს დაიბარა: შენ ორსული გამოდგები; ვაჟი თუ გეყოლოს, ზურაბი დაარქვი. როდესაც წამოიზარდოს და ჭაბუკობა მოინდომოს, ერთი „შარნი“ [2]) ყელზე მოაბი, ჰეშმა კაბის (ახალუხის) ჯიბაში ჩაუდევი და მუზარადი უნაგრის ტახტაზე დააკერე. ვინიცობაა ერთმანერთს სადმე შევხვდით, ამითი ვიცნობ ჩემს შვილს. შენ კი სანამ ძლიერ არ გაგიჭირდეს, ნუ გაუმჟღავნებ, რომ იგი ჩემი შვილია. ქალი თუ გეყოლოს, შენია და რაც გინდა ის დაარქვი და როგორც გინდა, ისე გამოზარდე. უთხრა ეს როსტომმა და გასწია თავის გზაზე. ქალი მართლა ორსული გამოდგა; როდესაც ვადა გაუვიდა, ეყოლა ვაჟი და დაარქვა ზურაბი. ზურაბი ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ ვარსკვლავს ჰგავდა. მალე წამოიზარდა, დღე ტკაველს იმატებდა, ღამე—ოთხ თითს. ცოტა ხანში ვაჟ-კაცი შეიქმნა; დაიწყო მინდვრად სიარული. ვისაც შეხვდება გამვლელ-გამომვლელს, ყველასა ლახავს; არ ზოგავს არც ქექევაზ კეისრის შვილებს. ერთ დღეს ქექევაზის შვილებმა წამოსძახეს ზურაბს: შენ თუ კარგი ჭაბუკი ხარ, მამაშენი მოძიე, კაცმა არ იცის, დევმხეცებმა შეგიჭამეს, თუ ველურ ღორებმაო. ზურაბმა რომ ეს გაიგონა, მაშინვე შინ დაბრუნდა. დედას ჰკითხა—მითხარი, ვინ იყო მამა ჩემიო და რა იქმნაო. დედა ჯერ-ჯერობით არ უმჟღავნებდა მამის ვინაობას, მაგრამ ზურაბმა ძალა დაატანა და დედაც გაუტყდა. დედამ აუწერა როსტომი და მისი განთქმული ჭაბუკობა. ზურაბმა მაშინვე გაიჭედა რკინის შვილდ-ისარი. შეიკაზმა ცხენი და გზას გაუდგა. ამ დროს დედამ, როგორც დაბარებული ჰქონდა როსტომისაგან, ყელს შარნი შეაბა, ჯიბას ჰეშმა ჩაუდვა და მუზარადი უნაგრის ტახტზე დაუკრა. ზურაბი შემოაჯდა ცხენს და გასწია ყარაიასაკენ. გზაზე ზურაბს ქაჯი შეხვდა ქალის სახით და დაუძახა: ოჰ! რა კარგი ჭაბუკი (გმირი) ხარ, რომ ყელს ქალის საბმელი (ლეებ) არ გებას, ჯიბას ქალის სამკაული არ გიდევს და უნაგრის ტახტზე მუზარადი არ გეკრას. ზურაბმა ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო გზა. ეს ქაჯი სხვა ნაირად ჩაცმული ისევ წინ დაუხვდა და იგივე გაუმეორა, რაც პირველ შეხვედრაზე. ზურაბმა მიაფურთხა და უთხრა: ფუ! ქალი ქაჯისა ხარ, დაგლახვრა ღმერთმა, გამშორდი იქითო, და ისევ გასწია. ქაჯი მესამედ შეხვდა კიდევ სხვა გვარად ჩაცმული და ისევ ის სიტყვები გაიმეორა. ზურაბს გული მოუვიდა, შარნი ყელზე შემოიწყვიტა, ჯიბაში ჩაიდვა, მუზარადი შემოიხსნა და უნაგირ ქვეშ დამალა. იარა ზურაბმა და ყარაიას მიაწია. ყარაია როსტომის სანადირო და მუდამ ბევრი ნადირია.

ზურაბმა დილით მოაღწია აქ; მოჰყვა ერთის ნაპირიდამ ამ ვრცელს მინდორს და მეორე ნაპირს მისვლამდე იმდენი ნადირი დახოცა, რომ საღამოს ძვლებისაგან კარავი გააკეთა, ყავით გადახურა და ღამის სათენად შიგ შევიდა. როსტომმა რომ ეს ამბავი გაიგო, შეკრთა, თავის გულში თქვა—ამაზე უკეთესი ნადირობა არც მე მიქნია როდისმეო. ამ ღამეს არაფერი. მეორე დილას ადრე მივიდა ზურაბის კარავში. ახედ-დახედა ზურაბს, მაგრამ ვერც შარნი უნახა ყელზე მობმული და ვერც მუზარადი უნაგრის ტახტზე დაკრული. როსტომმა ზურაბი საჭიდაოთ გამოითხოვა. ზურაბმა უარი არ უთხრა; ეცნენ ერთმანერთს და ისე ჭიდაობდენ, რომ იქაურობას სულ მტვერი აადინეს. მოიქნია როსტომმა ზურაბი, მუხლებამდი მიწაში ჩაფლა; მოიქნია ზურაბმა—წელამდი ჩაფლა როსტომი. როსტომმა უთხრა ზურაბს—ჭაბუკებს ჩვეულება აქვთ, რომ სამჯერ იჭიდავებენ ხოლმე; დღეს ამიშვი, ხვალ და ზეგ კიდევ ვიჭიდაოთ და თუ მესამედაც დამცემ, მაშინ რაც გინდოდეს, ის მიქენიო. ზურაბმა აუშვა როსტომი. მეორე დღეს იჭიდავეს, ისევ ზურაბმა დასცა როსტომი. ძლიერ შეწუხდა როსტომი. ამდენ დევებთან უჭიდავნია, ვერავის წაუქცევია და ეს ზურაბი ვინღა გამოჩნდა ამისთა-

[1]) ზოგან ბეჟანსაც როსტომის ძმად სთვლიან.

[2]) ერთნაირ მძივს ეძახიან.

დრობა, რომ იქ პატიოსნად სამსახური და მოვალეობისათვის თავდადება ძვალსა და რბილში აქვს თვითვეულს გამჯდარი და გულტამდე არის აყვანილი. ამას როგორცა სჩანს ვერ დაიქადებს საფრანგეთი და მისი უღონობაც ამაშია.

## ახალი ამბავი

*,* ღვინის სარდაფების მოსამსახურენი ძალიანა სჩივიან თავიანთს მდომარეობაზე. მართლაც და, რომ დაუკვირდეს კაცი მათს ყოფა-ცხოვრებას, მეტად უნუგეშო სურათსა ჰნახავს. სარდაფები უფრო მიწაში არიან მომართულნი. იქ მუდამ სინესტეა. ზედ ემატება ღვინის ბული. ამ სოროებს თითქმის თავის დღეში არ მოჰხვდება მზის სხივი. აი სწორედ ამისთანა ადგილებში მსახურობენ ნოქარნი და მოჯამაგირენი. მერე თვით სამსახური როგორ მძიმეა, ეს იქიდამა სჩანს, რომ ინათლებს თუ არა, მოჯამაგირე თუ უფროსი ნოქარი, ფეხზე უნდა იყოს, რადგან ვაჭრობა ადრე იწყობა. აქედამ მოკიდებული ღამის 11 საათამდე კანონით და უკანონოდ ხან პირველ საათამდე, ფეხზე დგანან და ემსახურებიან როგორც პატრონს, აგრედვე მუშტარსა. ძილითაც ხომ იქვე, იმ ნოტიო სოროში სძინავთ. ასეთი დღე ადგათ გამუდმებულად კვირა-უქმეს თუ საქმის დღეს კვირიდამ კვირამდე, თთვიდამ თთვემდე, წლიდამ წლამდე. ერთის საათით ვერ შეუძლიანთ მოჰშორდნენ ამ ჭაობ ადგილებს, სწორამხანაგებში ვერ გაერევიან, ნათესავებთან ვერ მოიბრუნებენ სულსა, წირვა-ლოცვაზე ვერ დაესწრობიან, რომ გულიანად შეევედრონ ღმერთს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. წელიწადში აუქმებინებენ მხოლოდ ორს დღეს—აღდგომასა და წყალ-კურთხევას. სხვა დღესასწაული მათთვის არა გაჩენილა-რა.

სარდაფების პატრონები სრულებითაც არა ნაღვლობენ ამ გარემოების შეცვლაზე, თვითონ მოსამსახურეთ კიდევ ხელი არ მიუწვდებათ იქამდის. ამიტომაც ერთის მხრით ძრიელ დიდი შეღავათი იქმნება მათთვის ბ. ნ. გუბერნატორის განზრახვა, რომ სავალდებულო გახდეს ტფილელ ვაჭრებში კვირა-უქმის დღესასწაულობა.

*,* 14 ოქტომბერს, დილის ორ საათზე, მცხოვრებნი ანდრიას ქუჩისა, კუკიაში, დააფეთიანა საშინელმა წივილ-კივილმა. ხალხი გამოცვივდა გარედ. წივილ-კივილი მოისმოდა ფაიტონიდამ, რომელიც გამალებული მორბოდა. გამბედავნი წინ გადუდგნენ ფაიტონს, შეაყენეს ცხენები. აღმოჩნდა შემდეგი: ერთი დარბაისლურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, მეტად შეშინებულის ხმით კიოდა. გვერდით უჯდა მეეტლე, რომელსაც თან „ვოზჟები“ ეჭირა და თან დაებღუჯა საცოდავი ქალი. უკანასკნელი არა ჰნებდებოდა. ქალი სულ დასისხლიანებული და დაკაწრული იყო. თურმე ქალმა ფაიტონი აიყვანა, და დაუსახელა ქუჩა, ნომერი თვისს სადგურისა. მეეტლე ჯერ რიგიანად მოდიოდა. მერე შედგა, გადუჯდა ქალს ფაიტონში და უნდოდა შეურაცხყოფა მიეყენებინა და სხვა ქუჩით სადღაც გაეტაცნა.

როგორც ქალი, აგრედვე საზიზღარის შეურაცხ ყოფის ჩამდენი მეეტლე წაიყვანეს პოლიციაში.

*,* ქართლი: აგერ ხუთი დღეა, რაც ჩვენკენ მშვენიერი ჟუჟუნა წვიმებია; არა ცივა. მაინც წელს საუცხოვო შემოდგომაა; ხალხი ხვნით მოჯერდა და ახლა საფარცხი ამინდები დაჭირა; სადაც რთველები არ იყო, ამ წვიმების გამო დააშურეს. თუმცა ბევრგან დაზარალა ვენახები ნაცარმა და ერთ გვარმა ახალმა ყურძნის სენმა (სიხმელემა), მაგრამ ტკბილი დიდს ფასად არ იყიდება: ცხინვალის ხეობაზე და მეჯვრისხევისაკენ 4 მ. 50-დამ 5 მანათამდე აფიდა. ხიდისთავსა, ატენსა და საზოგადოდ გამოღმა მხარში უფრო ძვირად არის—შვიდ-რვა მანეთად.

*,* გორი: როგორც შევიტყეთ, ტფილისიდამ ყოფილა გორში გამოგზავნილი გენერალი, რომელსაც გაუსინჯნია თავისუფალი ადგილები ყაზარმების ასაშენებლად. გორში იქნება ახლად მოკრეფილ ჯარის-კაცთა შტაბიო. როგორც მოგეხსენებათ, გორელმა ვაჭრებმა ყურები აცქვიტეს, რადგანაც ბევრს გაუჩნდება ხელის მოსათბობი საქმე. ამ თთვის 10-სა, გორის ქალაქის საბჭოში ამ საგნის თაობაზე, სხდომა იყო. რითი გათავდა, რა დაადგინეს—ამას შემდეგისათვის შევატყობინებთ, მხოლოდ ამ ჟამად იმას მოგწერთ, რომ გორს თავისუფალი ადგილები თუმცა აქვს, მაგრამ ერთობ შორს ქალაქის განაპირსა, და არც საყაზარმო ადგილებია. უფრო მოხერხებული ადგილებია ამ საგნისათვის კერძო კაცთა მფლობელობაში და დაუთმობენ თუ არა ისინი, არავინ იცის.

*,* გაზ. „Тиф. Листокъ“-ის სიტყვით, 13 ოქტომბერს პალატამ დაადგინა განაჩენი, რომ დაშავებულს თომა გამყრელიძეს რკინის-გზის მმართველობამ უნდა მისცეს 1800 მანათი თავის სარგებლით ამ წლის იანვრის ორიდამა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

აბა სად ბოლგარია, აღმოსავლეთის საქმე და სად ავღანისტანი და ავღანისტანის ტახტის მაძიებელი ეიუბ-ხანი, მაგრამ წარმოიდგინეთ-კი რომ ერთიც და მეორეც მჭიდროდ არის ერთმანერთზედ დამოკიდებული. მართალია, ავღანისტანი აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს, მაგრამ აღმოსავლეთისკენ სხვა ბევრი ქვეყანაცა სძევს, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეში არავითარი მონაწილეობა არა აქვს. მაშ რადა ავღანისტანი მოჰყვა აღმოსავლეთის საქმეში? როგორ მოჰყვა ავღანისტანი აღმოსავლეთის საქმეში, ან რა დამოკიდებულებაა ამ ქვეყანასა და აღმოსავლეთ საქმეს შორის, ამაზე ლაპარაკი ეხლა შორს წავა და საქმე-კი რომ მართლა ასეა, ამას გაზ. „Новости“-ც ამტკიცებს.

არას დროს არ უნდა დავივიწყოთო,—ამბობს ეს გაზეთი,—რომ ავღანისტანის საქმე ნაწილია და არა მცირედი ნაწილი აღმოსავლეთის საქმისა. თუ ომი დაიწყო, ომის მოედნად ავღანისტანიც შეიქმნება. ავღანისტანის სხვა-და-სხვა ტომის მკვიდრთ სხვა-და-სხვა აზრი და იმედი ასულდგმულებთ: ზოგნი რუსეთის იმედზე არიან, ზოგნი ინგლისისაგან ელიან ყოველ გვარ წყალობასა.

შემდეგ გაზეთი ბუნდად ლაპარაკობს, არ არკვევს, ვის მოუნდომებია ავღანისტანის ჩათრევა აღმოსავლეთის საქმეში და რად უნდა ატყდეს თოფის სროლა ავღანისტანშიაც, ევროპაში ომის დაწყობის დროს და თავის მოსაზრებას ასე ათავებს:

თუმცა ძალიან გაურკვეველი და სიბნელით მოცული ამბები ხდება ავღანისტანში, მაინც ერთი გარემოებაა უეჭველი: ეს ის გარემოებაა, რომ იმ შორეულ ქვეყანაშიაც ცხადად იჩენს თავს და დიდის ძლიერებითაც იჩენს—დიდთა სახელმწიფოთა ცილობა ერთმანერთში; იქაც სწარმოებს დიდის აღმოსავლეთის დრამის ერთ-ერთი მოქმედებაო.

ევროპა დიდის ამბით ემზადება ამ დრამის საცქერლად. ზოგიერთი სახელმწიფონი თვით მიიღებენ მონაწილეობას ამ დრამაში, ზოგი-კი მხოლოდ სეირს დაუწყებს ცქერას. ბევრს დიდი იმედი აქვს ამ დრამისა და ბევრი კიდევ შიშითა და კრძალვით ელის იმის დაწყობასა.

**

„Саратовскій Дневникъ“-ი ლაპარაკობს საქალაქო არჩევნებზე და ამტკიცებს, რომ დღევანდელის არჩევნების წესი ხეირს არ დააყრის ქალაქს, თუ არ შეიცვალაო. ამ წესის ბრალიაო, ამბობს გაზეთი,

რომ არავითარი კავშირი არ არსებობს ამომრჩეველთა და ქალაქის გამგეობის შორისო. ეს კავშირი თან-და-თან უფრო სუსტდება. ქალაქის სასარგებლოდ მუშაობისათვის დღეს მოწოდებულნი არიან არა იმ წოდებისანი, რომელნიც უფრო განვითარებულნი არიან და მომზადებულნი საზოგადო მოღვაწეობისათვის, არამედ მეტად მცირედ ნასწავლნი, მეტად ნაკლებ მომზადებულნი თვით-მმართველობის საქმეში მონაწილეობის მისაღებადო.

ამ გარემოებას ის სამწუხარო შედეგი მოსდევს, რომ საქალაქო თვით-მმართველობის მუშაობა მო-

---

ნა, რომ მოერია. გადასწყვიტა თავის გულში ზურაბი მოეკლა. მივიდა მჭედელთან და ორი შუბი შეუკვეთა. მესამე დღეს როსტომმა ეს შუბები პაიჭებში ჩაიტანა, წვერები ზეით უქნა და ზურაბთან საჭიდაოდ გამოვიდა. შეიჭიდნენ, ზურაბმა დასცა; ამ დროს როსტომმა ქვეიდამ ამოჰკრა შუბები და მუცელში შესცა ზურაბს. ზურაბმა დაიკივლა: ოხ! შე ბოროტო, ჩემი მოკვლა შენ არ შეგრჩება, მამაჩემი როსტომი ყველგან მოგძებნის,—კლდეში შეხვალ, ჯიხვად გადიქცევა, ზღვაში—კალმახად და მიწაში—თაგვად.

როსტომს თავს ზარი დაეცა, სწორედ ჩემი შვილი მოვკალიო, და შესძახა ზურაბს:

— შენ ბიჭო (ბუშო), ბოზის ნაგდებო, ვინ არის მამაშენი?

— როსტომს აქებენ ჭაბუკსა, ის არის მამაჩემი.

— შენ თუ როსტომის შვილი ხარ, მაშ სადა გაქვს ნიშანი, ემა და მეზარადი?

ზურაბმა ყველა ესენი აჩვენა და მათი დამალვის ამბავი უამბო. ახლა დარწმუნდა როსტომი, რომ თავისი შვილი ზურაბი მოჰკლა. მწუხარებისაგან კინაღამ მოკვდა. ზურაბს მოვლა დაუწყო, მაგრამ მას ბევრ ხანს არ უცოცხლია და როსტომს ხელში შემოაკვდა. შეწუხებულმა როსტომმა ზურაბი ხელებზე დაიდვა, დაიჩოქა და ქვეყნის პატრონს (ღმერთს) შეეხვეწა: შვილი შემომაკვდა ახლა ამასა გთხოვ, თორმეტი წელიწადი ორმოში ჩავალ, მზეს არ დავენახვები და ჩემი ზურაბი გამიცოცხლე. როსტომმა ასე ქმნა, გაითხარა 12 მხარის სიღრმე ორმო, ჩავიდა შიგ და ჩაიტანა ზურაბიც და იყო შიგ უსმელ-უჭმელი ღვთის ხვეწნაში. ამავე დროს როსტომმა დაიბარა ქექვაზ კეისრის დიაკონი, სთხოვა წასულიყო ქექევაზთან და ზურაბისათვის უკვდავების წამალი (ანუ წყალი) მოეტანა. დიაკონი მიეგზავნა ქექევაზთან და გადასცა როსტომის დანაბარები. ქექევაზმა უარი ვერ გაბედა, ჩაასხა უკვდავების წამალი თასში და მისცა დიაკონს; ამასთანავე დაბარა, რომ როდესაც როსტომთან მიახლებული იყო, ფეხი-ფეხზე დაედგა, დაცემულ იყო და წამალი წაექცია, თორემო, სთქვა ქექევაზმა, როსტომს თუ თავის შვილიც თან ეყოლა ცოცხალი, ჩვენ კეისრობას წაგვართმევსო. ეშმაკმა დიაკონმა აასრულა, რაც ქექევაზმა დაბარა: როცა მიუახლოვდა როსტომს, ფეხი-ფეხზე დააბიჯა, თასი ხელიდამ გაუშვა და წამალი წააქცია. როსტომი მიხვდა დიაკვნის ეშმაკობას და ამოაძახა: თუ ამ ორმოდამ ამოსვლა მეღირსა, მაგიერს გადაგიხდი შენც და შენს კეისარსაც, რომელსაც, მე რომ არა, ასჯერ შესჭამდენ აქამდი დევ-მხეცებიო.

როსტომი ორმოში დარჩა ათი წელიწადი. ზურაბი მუხლებზე უწევს და მოელის ღვთისაგან მისს გაცოცხლებას. ამ დროს განმაელობაში წვერი ისე გაეზარდა, რომ ფეხებამდი სწვდებოდა. წვერის თმიდამ სიმები დასკვნა, ზურაბს მკლავებზე მოაბა და ჭიანური გაიკეთა. ამ ჭიანურზე დასტირის ყოველ დღე თავის თავგადასავალს და უკანასკნელს უბედურებას—შვილის მოკვლას.

ათის წლის განმაელობაში ქექევაზის სამეფოს ისე მოედვა დევ-მხეცი და ველური ღორი, რომ მცხოვრებლებს სახლში უვარდებიან და აკვნებიდამ სტაცებენ ბავშვებს. შეწუხდა ქექევაზი, არ იცის, რითი უშველოს თავს. მართალია როსტომის ორი ძმა—გივი და გურგენი მასთან არიან, მარა რა! გურგენი გლახაკია, რაღაც ჩანჩურაა; გივი სხვებრ კარგი და ჭკვიანია, მაგრამ ჭაბუკობა არ შეუძლია, ის ვეზირადა ჰყავს ქექევაზ კეისარს. გივს შვილი ჰყავს—ბეჟანი; ბეჟანი ყმაწვილია და ჯერ-ჯერობით იმედი არა აქვთ, რომ ჭაბუკობა შეიძლოს. მეტი ღონე არ იყო; ქექევაზმა გივს სთხოვა, თავისი შვილი გაეგზავნა დევმხეცების მოსასპობად. გივმა დაუჯერა ქექევაზს. გივმა თავის ძმა-გურგენს დაუძახა და სთხოვა, ბეჟანს გაჰყოლოდა საჭაბუკოდ; ბეჟანი,—სთქვა გივმა—პირველად მიდის საჭაბუკოდ, გამოუცდელია, გზა და კვალი არ იცის, შენ სხვებრ არაფრად გამოადგები ბეჟანს, მაგრამ გზას მაინც აჩვენებო. გურგენს შეეზარა წასვლა, მაგრამ უარი ვერ გაუბედა გივს. ბეჟანმა შვილდ-ისარი მოიმარაგა, გურგენს საგზალი დააკიდებინა და გასწია მინდვრად. გაიხედა ბეჟანმა, შეხედა, რომ მინდორი ველურის ღორით არის სავსე. მიჰყვა ერთი კიდიდამ მეორე კიდემდი, სულ ამოსწყვიტა ველური ღორის ჯოგი. დახოცილი ღორები იმდენი გამოდგნენ, რომ ეშვები რომ აეცალე, ასი ურემი დაჰქირთა. გურგენი ამ დროს შიშით ხეზე იყო და სეირს უყურებდა. ღორების დახოცვის შემდეგ-კი ხიდამ ჩამოვიდა და ეშვების ამოღებას ეხმარებოდა ბეჟანს. როდესაც სახლში წამოსვლა დააპირეს, გურგენმა უთხრა ბეჟანს—გეტყობა ჭაბუკობაში ბიძაშენს—როსტომს არ ჩამოუვარდები, დიდი ჭაბუკი (გმირი) იქმნები. რომ შენისთანა არავინ იყოს, სულ ერთს რამეს გირჩევ: ერანელთ კეისარს—აფროსიაბს—მზეთ უნახავი ჰყავს, წადი და ის როგორმე იშოვნე; სახელად მზეთუნახავს „მარუჯანი“ ჰქვია.

გურგენმა კარგად იცის, რომ თურანელები და ერანელები მოსისხლე მტრები არიან ერთმანერთისა და უნდა ბეჟანი გაგზავნოს აქ; ბეჟანს მოჰკლავენ და დღევანდელს ველურს ღორებს მე დავიჩემებო.

ბეჟანმა რა იცოდა გურგენის ამ ნაირი ეშმაკობა, უთხრა ღორების ეშვები ქექევაზისათვის მიეტანა და ეამბნა, თუ როგორ დახოცა მან, ბეჟანმა, ღორები. გურგენს ეს გაუხარდა. ასი ურემი ღორების ეშვები ქექევაზს მიართვა და უთხრა, რომ ყველა მე დავხოცეო. როდესაც ჰკითხეს—ბეჟანი რა იქნაო, გურგენმა დაცინვით მიუგო: ბეჟანი რას იზამდა, როგორც კი დაინახა ველური ღორების ჯოგი, შეეშინდა, უკან გამოიქცა, დაეწია ერთი ღორი, ამოჰკრა ეშვი და გამოფატრაო. ქექევაზს ძლიერ ეწყინა ბეჟანის ასე უდროოთ დაღუპვა; გურგენის ასეთი ყოჩაღობა კი ძლიერ გაუკვირდა და ამის შემდეგ დიდის პატივისცემით აცხოვრა. ბეჟანმა იარა, იარა და როცა იყო მივიდა აფროსიაბ კეისრის სამეფოში. აფროსიაბს თავისი ქალიშვილი, მარუჯანი, კოშკში ჰყავს. ბეჟანი კოშკის ძირში მივიდა. გამოიხედა მარუჯანმა, შეხედა ბეჟანს, ბეჟანმაც შეხედა, ძლიერ შეუყვარდათ ერთმანეთი. მარუჯანმა უთხრა თავის მოახლეს, რომ როგორმე ის კაცი (ბეჟანი) სალამოს შემოეყვანა კოშკში. ბეჟანმა მთელი დღე სალამომდი კოშკს უარა ირგვლივ. სალამოს მარუჯანის მოახლემ ნახა და შეიყვანა კოშკში. შეხვედრისათანავე ბეჟანი და მარუჯანა ერთმანერთს გადაეხვივნენ და რამოდენიმე ხანი უგონოდ (ბაქურ) იყვნენ სიყვარულისაგან. მეორე დღეს აფროსიაბი გაიგებს, რომ მის ქალიშვილთან ვიღაც შესულა. შეჰკრებს თავის ჯარს და გარს ახვევს კოშკს. გამოდის ბეჟანი კოშკიდგან, შეებრძოლება აფროსიაბის ჯარს და ანახევრებს, იმოდენს ჰხოცს. ვეზირნი ურჩევენ აფროსიაბს თავი დაანებოს ბეჟანთან ბრძოლას, ნება მისცეს ქალიშვილის შერთვისა და შემდეგ რაიმე ხერხით, მოტყუებით მოჰკლას ბეჟანი. აფროსიაბი უგონებს ვეზირებს. ეუბნება ბეჟანს, რომ შეირთოს მარუჯანი. ბეჟანს და მარუჯანს უხარიანთ, იხდიან ქორწილს. ღამე, როცა ბეჟანსა და მარუჯანს ერთად სძინავთ, ბეჟანს რკინის ბორკილებს უყრიან. დილას ბეჟანი იღვიძებს, ამჩნევს, რომ ბორკილები უყრია ფეხებში, მისწევ-მოსწევს ფეხებს და ბორკილებს ისე სწყვეტს, როგორც წვრილს ბაწარს. კეისარი და მისი მხლებლები გაკვირდნენ ბეჟანის ღონეზე. იფიქრეს და ამას დაადგნენ:—ბეჟანიდამვე უნდა შევიტყოთ, თუ რითი შეიძლებოდა მისი დაბორკვა. შეაცდინეს ერთი მოახლე, რომელმაც

კლებულია ცხოველ-მყოფელს ძალას და ნაკლებ ეშესაბამება მცხოვრებელთა მოთხოვნილებასაო.

გაზეთი სამართლიანად ფიქრობს, რომ დღევანდელს საქალაქო თვით-მმართველობაში მხოლოდ შეძლებულები და დიდის მამულის პატრონები ჰბატონობენო.

ეს არის მიზეზი, რომ მცხოვრებელთა უმრავლესობის საჭიროებანი დაუკმაყოფილებელი რჩება, ყურადღებას აღარავინ აქცევს იმათ, ვინც მართლა მშრომელი და გამრჯელია ქალაქის მკვიდრთა შორის. ამ სახით შუა ანუ მცირე შეძლების პატრონი ხალხი თან-და-თან უფრო და უფრო ვეღარას აგებინებს თავის წარმომადგენელთ—საქალაქო საბჭოს.

ამ სამწუხარო გარემოებას ხშირად ისიც ზედ დაერთვის ხოლმე, რომ საბჭოს უმრავლესობა სხვა ტომისა და ჩამომავლობისაა, მცხოვრებელთა უმრავლესობა-კი — სხვა ტომისა. ამ შემთხვევაში ხომ უფრო მცირე და ნაკლებია ხოლმე კავშირი ამომრჩეველთა და თვით-მმართველობის წარმომადგენელთა-შორის.

## უცხოეთი

მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ამ უკანასკნელს ხანებში ევროპის სახელმწიფონი. ჩვენ ვამბობთ მასზე, რომ უმეტესნი მათგანი იმოდენად ხელ-შეკრულნი არიან, რომ მათი გავლენა საერთო საპოლიტიკო საქმეებზე აუცილებლად უნდა შემცირდეს. გუშინ ამას ვამბობდით მარტო ინგლისზე, რომლის შინაური საქმეები ასწევ-დასწევა მუშების გაჭირვებულმა მდგომარეობამ, მრეწველობისა და ვაჭრობის შემცირებამ, და ირლანდიის საქმემ. არც სხვა სახელმწიფოების მდგომარეობაა მაინცა-და-მაინც სანატრელი და სანუგეშო. საფრანგეთი დღეს ისეთს მდგომარეობაშია, რომ აუცილებლად დროებით თავი უნდა დაანებოს გარეშე პოლიტიკას და უნდა შეუდგეს თავის სამხედრო წესების და საომარ ძალ-ღონის გადასინჯვას. ამას აიძულებს საშინელი საქმე გენერალ კაფარელისა, რომელსაც ბრალდება ორდენებით ვაჭრობა. ეს გარემოება მით არის შესანიშნავი, რომ იგი გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის ჯარში, რომელზედაც საფრანგეთი ძალიან დაიმედებული იყო, არსებობს მწარე სენი ანგაარებისა. როცა ჯარის-კაცი იწყებს ვაჭრობას სინიდისითა და სამხედრო წესისადმი ჰკარგავს პატივის-ცემას, მაშინ საჭიროა მომეტებული ყურადღება ათხოვონ თვით ჯარს, და გამოიძიონ, რაოდენად გავრცელებულია სამხედრო მოსამსახურეთა შორის ის მწარე სენი, რომელიც კაფარელს ბრალდება, და შეიტყონ, გასჯდომია თუ არა იგი ძვალ-რბილში მხედრობას. საფრანგეთი დიდს საფიქრებელში ჩააგდო კაფარელის საქმემ და უეჭველია, სანამდის კარგად არ გამოიძიებს ამ საქმეს, მანამდე არც საფრანგეთის ერი დაწყნარდება და არც იმედი უნდა ჰქონდეთ იმისთანა მხედრობისა, რომელშიაც კაფარელს შეეძლო თავის შეფარება. კაფარელის საქმეს შეუძლიან ხელი შეუშალოს საფრანგეთის კავშირს რომელსამე სხვა სახელმწიფოსთან, რადგანაც არავინ ისურვებს ისეთს სახელმწიფოს დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს, რომლის სამხედრო ძალ-ღონე გაღრწნილია. გერმანიამ იმ წამსვე, რა წამსაც კაფარელის საქციელი აღმოაჩინეს, კიჟინა დასცა, რომ საფრანგეთის მხედრობა საიმედო არ არისო და სხვ. და სხვ.

არც გერმანიაა მაინცა-და-მაინც გულდამშვიდებული. იმპერატორი ვილჰელმი მოხუცებული და ხან-გადასულია; იმისი მემკვიდრე ავად არის და ეს გარემოება ძალიან აფიქრებს გერმანელებს. იწერებიან ვითომ მმართველობა უნდა აიღოს მემკვიდრის შვილმაო. თვითონ ბისმარკიც ვერ არის კარგად; გერმანიის სახელოვანთ და მოხუცებულთ გამგეთა არა ჰყავთ თავისებური მემკვიდრეები და ამიტომაც თითქმის მთელი გერმანია მწუხარებით შესცქერის თვისს მერმისს.

იტალიაც, რასაკვირველია, საფიქრებელში ჩავარდება, თუ რომ მართალი გამოდგა მისი ჯარების დამარცხება აბისინიაში.

ყოველსავე ამას დაუმატეთ მაროკკოს საქმე, რომელზედაც მიქცეულია ისპანიის, საფრანგეთისა და იტალიის ყურადღება, და ადვილად წარმოიდგენთ, რომ სახელმწიფოთა მდგომარეობა მეტად გაძნელებულია.

## წვრილი ამბები

— პარიჟში ერთს სამეცნიერო ჟურნალის რედაქციას უთხოვია ბრაზილიის იმპერატორისათვის, დონ-პედროსათვის, რომელიც ამ ჟამად პარიჟში იმყოფება, ჩვენის ჟურნალის თანამშრომლობა იტვირთეთ და შეგვატყობინეთ ხოლმე, რაც საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევა დაიწეროს ბრაზილიაშიაო; იმპერატორი დათანხმებულა. უთქვამს მხოლოდ, რომ დეპეშით გამოვგზავნი ჩემს ამბებსაო. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდნილა ფასსზედა.

მე ფასს არ ავიღებდიო, უთქვამს იმპერატორს, მაგრამ მწერლობით მონაგარი ფული ჩემი არ არის; იმ თავითვე დაპირებული ვარ, რომ რასაც მწერლობით ვიშოვი, ერთს ობლების აღმზრდელს დაწესებულებას უნდა გაძლიო ხოლმეო.

— 232 წევრს ინგლისის პარლამენტისას ხელი მოუწერია ადრესზე. ეს ადრესი გაუგზავნიათ ჩრდილო-ამერიკის შტატების კონგრესისათვის და სთხოვენ პირობა შეჰკრას ინგლისმა და ამერიკამ, რომ ყველა დავა და უსიამოვნობა ჩვენ შორის, რომელიც სადიპლომატო წესით არ გათავდეს, მედიატორთა სამართალმა გადასწყვიტოს ხოლმეო.

ასეთის პირობის დადებაო,—სწერია თურმე ადრესში,—კარგი მაგალითი იქმნებოდა ყველა სხვა ერისათვის, რომელნიც თავიანთ შეძლებას ფლანგვენ ჯარისა და სამხედრო დაწესებულებათათვისაო.

— რიო-ჟანეიროში დაუარსებიათ ინსტიტუტი დაცოფილთა ასაცრელად. ამ ინსტიტუტის დირექტორად დაუნიშნავთ პასტერის ერთი მოწაფეთაგანი, დოქტორი ჰერირადოს სანტოსი.

— ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთისკენ მარტო აგვისტოში 30,780 კაცი მომკვდარა ხოლერით.

## საგრამმატიკო ესკიზი

### ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო

(ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

*feci quod potui,*
*faciant meljora potentes*

დავუღლილოთ ორიოდე ქართული ზმნა, ჩავაკვირდეთ და დავრწმუნდებით, რომ თითქმის ყოველ ზმნის ფორმები განიყოფებიან ორ ჯგუფად, საცა ერთსაცა და მეორე ჯგუფსაც აქვთ თავიანთი წარმომადგენელი დედა-ფორმები.

ეს ორი ჯგუფი ფორმებისა აშკარად გასარჩევია ერთი მეორისაგან. აი ორიოდე მაგალითი [1]):

| I | II |
|---|---|
| I (ქებ)-ა. | II ვა-(ქ)-ე. |
| ვა-(ქებ). | მი-(ქ)-ია (ი+არს) |
| ვა-(ქებ)-დი. | მე-(ქ)-ო. |
| ვა-(ქებ)-დე. | მი-(ქ)-იეს (ი+ეს) |
| მა-(ქებ)-ელი. | მე-(ქ)-ოს. |
| (ქებ)-ული. | ვა-(ქ)-ო. |
| სა-(ქებ)-ელი. | ა-(ქ)-ე. |

[1]) იხილე ჩუბინაშვილის უღლილების სქემა.

| | |
|---|---|
| etc. | etc. |
| I (თბობ)-ა. | II ვა-(თბ)-ე. |
| ვა-(თბობ). | მი-(თბ)-ია. |
| ვა-(თბობ)-დი. | მე-(თბ)-ო. |
| ვა-(თბობ)-დე. | მი-(თბ)-იეს. |
| მა-(თბობ)-ელი. | მე-(თბ)-ოს. |
| (თბობ)-ილი. | ვა-(თბ)-ო. |
| სა-(თბობ)-ელი. | ა-(თბ)-ე. |
| etc. | etc. |
| I (ზიდვ)-ა. | II ვა-(ზიდ)-ე. |
| ვა-(ზიდავ) | მი-(ზიდ)-ია. |
| ვა-(ზიდავ)-დი. | მე-(ზიდ)-ა. |
| ვა-(ზიდავ)-დე. | მი-(ზიდ)-იეს. |
| მ-(ზიდვ)-ელი. | მე-(ზიდ)-ოს. |
| (ზიდვ)-ილი (ზიდული). | ვა-(ზიდ)-ო. |
| სა-(ზიდვ)-ელი. | ა-(ზიდ)-ე. |
| I (ბმ)-ა. | II ვა-(ბ)-ი. |
| ვა-(ბამ). | მი-(ბ)-ია. |
| ვა-(ბამ)-დი. | მე-(ბ)-ა. |
| ვა-(ბამ)-დე. | მე-(ბ)-ას. |
| მ-(ბმ)-ელი. | მი-(ბ)-იეს. |
| (ბმ)-ული. | ვა-(ბ)-ა. |
| სა-(ბმ)-ელი. | ა-(ბ)-ი. |

ამ ფრიად საყურადღებო ფორმებს ჩვენ გრამმატიკოსთაგანმა არავინ მიაქცია არავითარი ყურადღება და ზოგი პრეფიქსებით არჩევდა უღლილებას, ზოგი-კი სუფიქსებზე ამყარებდა ზმნების ათასნაირ დაყოფას. ეს არის ორად ორი ბანაკი ჩვენის ძველის და ახალ გრამმატიკოსებისა.

ყველაზე მეტს განყოფილებად დაყო ჩვენი ზმნის უღლილება პატივცემულმა პროფესორმა დავით იესეს ძე ჩუბინაშვილმა. რასაკვირველია, გრამმატიკის ავტორმა წინანდელ გრამმატიკოსებზე უფრო მეტის სიღრმით გადაჰხედა ქართულ ზმნას, უფრო მეტის ანალოგიით გამოიკვლია იგი, მაგრამ, სამწუხაროდ, დასაწყისშივე წაიძლევარა უნებური შეცდომა, რომე-

---

გაიგო ბეჟანისაგან, რომ ბორკილად მას გაუძლებს მხოლოდ მისი შვილდის ძუის ბაწარი. მოახლემ ეს აფროსუანს გარდასცა. ძილში ბეჟანს ხელებს თეძოებზე უკრავენ. დილას იღვიძებს და ჰხედავს, რომ თავის შვილდის ბაწრით არის შეკრული და ეგრაფერს ჰშველის თავს. აფროსუანი და მისი მხლებელნი თავზე ადგიან ბეჟანს და უხარიანთ, რომ დაიმორჩილეს. ამ დროს ბეჟანი ეუბნება აფროსუანს:

— ნეტავი ხელი ხელთა მქონდეს,
მძიმე ლახტი ხელში მქონდეს,
ერანელთან ჩამარია;
ერთ კაკალი გაგარჩინო,
თურანელში შერცხვენილ ვარ.

აფროსუანი მიუგებს;

— შეხედეთ ბრიყვსა, რეგვენსა,
ხელთა მყავს, გულთა ქადულობს.

აფროსუანს ბეჟანის მოკვლა უნდა; მას ჰყავს ერთი ვეზირი, სახელდობრ შეელოხა, რომელიც თურანელი იყო და იცნობდა როსტომ ჭაბუკსა და მის ძმებს. მან უთხრა აფროსუანს:

— ნუ მოჰკლავთ გმირსა ბეჟანსა,
სამი ნაწილი (თურანელების) მოგვკალით,
ფერი არა გაქვს (შიშით) არც ერთსა.

შეელოხამ ურჩია აფროსუანს, ბეჟანი ჩაესვათ ორმოშიო. თავისი ქალიშვილი მარუჯანო დაავალოს ყოველ დღე ჩაუგდოს ბეჟანს პური, რომელიც თავის-თავად უნდა იშოვნოს, რითაც იქმნება. ეს სასჯელი ეყოფაო, დაამბოლოვა ვეზირმა. აფროსუანმა დაუჯერა. მის ქალაქს, რომელსაც „ნართის"[3]) ქალაქი ჰქვიოდა, აათხრევინა ორმო და ბეჟანი შიგ ჩასვა და ზემოდამ ქვა დაახურა...

[3]) ნართის ქალაქი ეხლაც არისო, მითხრა ამის მთამბემ.

გავიდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც როსტომი ორმოში ზის და ზურაბის გაცოცხლებას ეხვეწება ღმერთს. ამ ხნის განმავლობაში დევ-მხეცი ისევ გამრავლდა ქექეაზის საკეისროში. შეწუხებულმა ქექეაზმა დიაკონი დაიბარა და უთხრა—წადი როსტომთან, ეგებ როგორმე მოუხერხო და ორმოდამ ამოიყვანოო. დიაკონი წავიდა როსტომთან, დადგა იმ ქვაზე, რომელიც როსტომის სამყოფ ორმოს ეხურა, დააბრაგუნა და მწყრალის ხმით ჩასძახა როსტომს—ამოდი, შე ბებერო, თორემ დევ-მხეცმა შეგვჭამაო. როსტომმა იუკადრისა დიაკვნის ამ გვარი საქციელი, ისეთი გული მოუვიდა, რომ მუხლებზე მდებარე ზურაბი, რომელსაც სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა, გადააგდო და მაშინვე სული დალია. ამოვიდა ორმოდამ. დიაკონს უთხრა სამართებელი მოეტანა წვერის მოსაპარსად და ერთი ტყვით დატვირთული ვირი მოეყვანა. დიაკონმა ასე ქმნა. როსტომმა წვერი მოიპარსა და შემდეგ დიაკონს უთხრა ვირ ქვეშ დაწოლილიყო. დიაკონი ნება-უნებურად დაწვა. როსტომმა აიღო თავისი ხმალი და თქვა: თუ ვემართლებოდე ამ დიაკონს, ერთის მოქნევით ეს ტყვით დატვირთული ვირიც გაუჭრია ჩემს ხმალს და დიაკონიც, თუ არა—არაო.

მოიქნია ხმალი, გასჭრა ვირი, დიაკონი და 12 მხარი მიწა. ეს შენ გქონდეს, თქვა როსტომმა, რადგანაც მეორედ მომაკვლევინე ჩემი ზურაბიო. შემდეგ როსტომი წავიდა ქექეაზთან. ქექეაზი ორის შვილით გამოეგება როსტომს. როსტომმა ორივე შვილებს თავები ერთმანერთს მიურახუნა და გაუჭყლიტა მამის წინ; ეს იმიტომ, რომ შენც იგრძნო, თუ რამდენად საამოა შვილის მოკვლაო, უთხრა როსტომმა ქექეაზს. როსტომის გვარეულობას ჰქონდათ „საწუთრის ჭამნი". როდესაც იმაში ჩაიხედავდნენ, ქვეყნიერობას ხედავდნენ. ჩაიხედა როსტომმა, დაინახა, თავისი ძმისწული ბეჟანი ორმოში ზის ნართის ქალაქის ახლო. შეწუხდა როსტომი, გარდასწყვიტა ბეჟანის განთავისუფლება. იშოვნა ექვსი ჯორი, 12 ჭაბუკი, რომელნიც ტომრებში ჩასვა და ისე აჰკიდა ჯორებს. მივიდა ნართის ქალაქს. აქ ბეჟანის ცოლი შეხვდა როსტომს, ქმარს გარდასცა, რომ დღეს ერთი კაცი მოვიდა ჩვენს ქალაქში, შენ ძლიერა გგავსო. ბეჟანმა უთხრა—სთხოვე ჩემ მაგიერ, რომ რაიმე ნიშანი გამომიგზავნოსო. ქალმა, ბეჟანის ცოლმა, უთხრა როსტომს, რაც მის ქმარმა დაიბარა. როსტომი, როცა დარწმუნდა, რომ ქალი ბეჟანის ცოლია, ატანს ბაჟანთან საცერს (ცერის ბეჭედს), წერილს და ერთს ქათამს. ბეჟანი იცნობს მის ბიძა როსტომს, რომელიც წერილით ჰპირდებოდა, რომ ამაღამ მოვალ 12 ჭაბუკით და განგათავისუფლებო. ბაჟანის ცოლი, როსტომის ჩვენებით, ცეცხლს ანთებს ორმოს ახლო, რომელშიაც ბეჟანია ჩამწყვდეული. დაღამებულს როსტომი მიდის ბეჟანთან და მიჰყავს 12 ჭაბუკი. ამათ უნდა ახადონ ორმოს ქვა, რომელიც ახურავს ბეჟანს. მოჰკიდეს ხელი, ვერ ასწიეს ქვა. მაშინ როსტომი მარტო ჰკიდებს ხელს ქვას, გაისვრის აფროსუანის კოშკისკენ, ქვა კოშკს ხვდება, თავსა უტეხს, მერმე კლდეს ხვდება, უკან ბრუნდება და შუა გულ ნართის ქალაქს ანგრევს. ბეჟანი ორმოდამ ამოჰყავთ და მიდიან სახლში. აფროსუანი იგებს ამას, ედევნება უკან თავის ჯარით; დაეწია როსტომს და ბეჟანს, რომელთაც აფროსუანმა შესძახა, დამნებდით, თორემ ამოგხოცავთო. როსტომმა ბეჟანს და 12 ჭაბუკს უთხრა განეგრძოთ გზა, აფროსუანს მარტო მე დაუხვდებიო; ამავე დროს, როგორც პატარა წყნელი, ისე ამოთხარა ნაძვი; წვერიდამ ხელი გადუსვა ნაძვს და ერთი შტო არ შეარჩინა. ეს ნაძვი ესროლა ცხენზე მჯდომ აფროსუანს. ნაძვმა უნაგირ ქვეშ გაიარა, დაიტანა აფროსუანის კალთები, ერთის ბოლოთი მიწას დაესვა და აფროსუანი ცხენიანად მიაკრა მიწას. მისი ჯარი დაესია აფროსუანს და უნდათ ახსნან მიწიდამ. ამასობაში როსტომი და მასთან მყოფნი კარგს მანძილს გადიან. აფროსუანი თავის ჯარით სახლში ბრუნდება. როსტომი და ბეჟანი მოაღწევენ ქექეაზ კეისართან. ბეჟანი გულ მოსულია თავის ბიძა გურგენზე, რომლის გამოისობითაც იგი ერანელთ ჩაუვარდა ხელში; როსტომს უთხრა—ბიძა ჩემო, გურგენი უნდა მოვკლაო. როსტომმა არ მოუწონა, როგორ გირჩევ ჩემის ძმის მოკვლასო. როსტომი და ბეჟანი ნახულობენ ქექეაზ კეისარს, გივს და გურგენს, რომელნიც ძლიერ მოხუცებულან, ეთხოვებიან მათ და მიდიან ყარაიას მინდორში საცხოვრებლად. როსტომი მოხუცდა; ჭაბუკობს მარტო ბეჟანი. როსტომი დღეც კარავშია და ღამეც. დევებს გაუგიათ ეს, რომ როსტომი მოხუცდაო. ერთი დევი მოდის როსტომის კარავთან და უძახის—აბა გამოდი როსტომ საჭიდაოდო. როსტომს ეწყინა, რომ დევი მის კარზე მოდის და საჭიდაოთ ითხოვს, მაგრამ რას იზამს, უარს ვერ ეტყვის, თორემ უარესი სირცხვილია. ეჭიდება როსტომი დევს,—დევი ამარცხებს. როსტომმა სთხოვა ხვალ კიდევ მობრუნებულიყო საჭიდაოდ და თუ ხვალაც წამაქციე, მაშინ რაც გინდა, ის მიქენიო. საღამოს ბეჟანი მოდის ნადირობიდგან; როსტომი ეტყვის დღევანდელს შემთხვევას დევისა და მის შორის და სთხოვს ხვალ სახლში მოიცადოს და დევს შეეჭიდოს. ბაჟანი რჩება სახლში. დევი მოდის დანიშნულს დროზე და უძახის როსტომს—გამოდი დამეჭიდეო. როსტომის ტანისამოსში დევთან გადის ბეჟანი. ეჭიდა დევს—დასცა ბეჟანმა. შემოხედა დევმა ბეჟანს—შენ როსტომი არ უნდა იყოო. ბეჟანმა მიუგო—ჩვენ ისეთი გვარისა ვართ, რომ დღეს რომ მოხუცებული ვართ, ხვალ ვყმაწვილდებითო, გუშინ ბებერი ვიყავ, დღეს ხომ ხედავ ყმაწვილი ვარო. დევი იმიტომ არის დევი, რომ დაიჯერა და წავიდა. ამიერიდგან როსტომი აღარ ჭაბუკობს. ის განუშორებლივ სცხოვრობს მის ძმისწულ ბეჟანთან. [4])

თავისუფალი ხვანი

[4]) ლეგენდა არ უჩვენებს როსტომის სიკვდილსა. უნდა შევნიშნო, რომ ამირანისა და როსტომის ამბავს არაკადაც ამბობენ და ზღაპრადაც.

ლიც სრულიად აუქმებს მისგან დადგენილს ოცს უღვლილებას.

აქ ბოდიშს ვითხოვ ამ კადნიერ სჯისათვის როგორც პატივცემულ მოხუცთან, აგრეთვე მკითხველებთანაც.

შეცდომა შრომისა მდგომარეობს იმაში, რომ ავტორს დაუყვია ზმნები ოცს უღვლილებად, **ხხვა-და-ხხვა სუფიქსების მიხედვით**, ე. ი. ზმნები სუფიქსით „ებ“ აკუთვნა პირველ განყოფილებას, სუფიქსით „ობ“—მეორე განყოფილებას, მესამეს აკუთვნა ზმნები მარცვლით „ავ“, მეოთხეს—„ევ“, „ენ“, მეხუთეს „ოვ“ და სხვანი...

ავტორისავე სქემის განხილვის და ბეჯით შესწავლის შემდეგ, დავრწმუნდი, რომ უღვლილებისათვის სრულიად საჭირო არ არის არა რომელიმე სუფიქსის მნიშვნელობა, რადგანაც უღვლილება ერთია და ერთი. ამასა ვნახავთ შემდეგ და დავრწმუნდებით, რომ ერთი და იგივ ახსნა აქვს ყოველ ზმნის ფორმის წარმოებას.

ჩვენის აზრით ვერც პრეფიქსები, ვერც სუფიქსები ვერ ჩაითვლებიან დახრის მაჩვენებელ ნიშნებად. საკმარისია ამის დასამტკიცებლად ის მოვიყვანოთ, რომ როგორც სუფიქსები, აგრეთვე პრეფიქსებიც ერთისა და იგივე ზმნისა მრავალ გვარად იცვლებიან, რითაც ერთსა და იმავე ზმნას მრავალ გვარ მნიშვნელობას აძლევენ: **გჭ-კერ, გ-მ-)კერ(-ვ-(ი)დ-ობ, გა-კერ, გა-კერ-ებ, გა)-კერ-(ვ-ინ-ებ, გა)-კერ-(ებ-ინ-ებ, გი-კერ, გი-კერ-ებ, გი-კერ-ავ, გა-მ)-კერ-(ვ-ად-ებ, გი-კერ-(ვ-ინ-ებ, და მრავალი სხვა...**

ახლა თუ სუფიქსების მიხედვით დავყოფთ ზმნებს ოცს განყოფილებად, როგორც მოგვითხრობს ბ-ნი ჩუბინაშვილი თავის გრამმატიკაში, რატომ პრეფიქსებს-კი არ უნდა მივანიჭოთ ასეთივე მნიშვნელობა? და თუ პრეფიქსებსაც ვიცნობთ ფაქტორებად ზმნის ცვლილებისა მნიშვნელობით და გარეგან წყობილებით, მაშინ დაგვჭირდება არა თუ ოცი, არამედ, ცოტა-ცოტა, ორმოცი უღვლილება მაინც, რითაც აუცილებლად დავშორდებით ჭეშმარიტებას, გავაზვიადებთ და უფრო გავაძნელებთ პედაგოგიურის მხრით ჩვენის ეტიმოლოგიის გაგებასა.

კოტე დოდაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. რათა ხელი შეეშალოს კერძო მონოპოლიას, მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა—პერმის გუბერნიაში ხაზინამ გაყიდოს არაყი. ეს დადგენილობა გამოცხადდა. ფინანსთა მინისტრს ეძლევა უფლება, პერმის გუბერნიაში დააწესოს არყისა და სპირტის გაყიდვა ხაზინის მიერ იმ საწყობებსა და სარდაფებში, სადაც საჭიროდ დაინახავს, მხოლოდ-კი არაყი გამოჰხადონ, ფინანსთა მინისტრის ჩვენებით, რაც შეიძლება იეფად, და ხაზინის არაყს ფასი დაუნიშნოს თვით ფინანსთა მინისტრმა და წინადვე გამოაცხადოს. ფასი დაენიშნება იმის მიხედვით, თუ რა დაჯდება არყის გამოხდა, გადატანა, სადამდის გასტანს ჯამაგირი მოხელეთა, ბაყის ხარჯი და სარგებელი გაუსყიდავ არყის სათვასურისა.

გამოცხადებულია მინისტრთა კომიტეტისავე გარდაწყვეტილება მასზედ, რომ პრივატ-დოცენტნი საიმპერატორო უნივერსიტეტთა და დემიდოვის იურიდიულ ლიცეისა განთავისუფლებულნი არიან საჯარის-კაცოდ გამოწვევისაგან.

გუშინ საღამოს პეტერბურგში მოულოდნელად გარდაიცვალა გილიაროვ-პლატონოვი, რედაქტორი „Современныя Извѣстія“-სი.

პარიჟი. გუშინ დაიწყო პალატის სხდომები. ბევრი კანონ-პროექტია შეტანილი, მათ შორის მასზედაც, რომ საფრანგეთმა გასწიოს მოულოდნელი ხარჯი 100 მილლიონი ფრანკი ჯარსა და ფლოტზე; მასზედ, რომ შესდგეს მთის ჯარები, რომ 4½% იჯარა ჩამოვიდეს 3%-ზე; აგრეთვე სუეზის არხის შესახებ.

ბონაპარტელმა კუნეომ მოითხოვა, რომ დაინიშნოს პარლამენტის კომისია 22 კაცისაგან, რათა გამოიკვლიონ ი. ს. ვილსონის მიერ ორდენების გასყიდვა სამხედრო სამინისტროში. კუნეომ განაცხადა, რომ მისი წინადადების განხილვა უნდა პალატამ აღიაროს აუცილებელ და დაუხანებელ საქმედ. თუმცა მინისტრები უარზე იდგნენ, მაგრამ კუნეოს აზრი მიღებულ-იქმნა 379 ხმით წინააღმდეგ 155 ხმისა.

პალატას მისცეს წინადადება მეჩვიდმეტე ჯარის კორპუსს მობილიზაცია ექმნასო.

ბონაპარტელთა თავმჯდომარეს მოუვიდა პრინც ვიქტორ ნაპოლეონისაგან წერილი. პრინცი ურჩევს, რომ არ გადავიდეთ ჩვენს ჩვეულებას, ესე იგი გაჭირებაში მივმართოთ ხოლმე ხალხსაო. დროაო, ამბობს პრინცი, დავაარსოთ საფრანგეთში სრული დემოკრატიული მართებლობა, რომელმაც უტყუარად მიანიჭოს ხალხს თავის უფლება სარწმუნოებისა, დაიცვას ღირსება ჯარის სამსახურისა, ყველას ერთად და თვითეულს ცალკე მიანიჭოს შესაბამი უფლებანი, აღამაღლოს ხალხში სამართლიანობა და პატივისცემა მთავრობისადმიო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ოქტომბ.
ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 8 96 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 179 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგებ. ბილეთი | — › | — › | 270½ |
| — მეორისა | — › | — › | 245¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი
1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| ტონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

ქართული სადმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჰილაძის მაღაზიაში

ორი მოთხრობა
ს. მგალობლიშვილისა
I მცვრევაზე
II დიდ ზალაში
ფასი ორი შაური.

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ჰილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი
მეფის ვახტანგ მეექვსისა
გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.
ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

ქართველი მწერლები
II
დავით გურამიშვილი
ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვას ხოლოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—10)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუეე, საბა-სულხან ორბელიანისა | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა | › | 50 |
| ციკო, მისივე. | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე. | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. | › | 51 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. | › | |
| წითელი ფარანი, თარგმანი. | › | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. | › | 15 |
| ქართული ანდაზები. | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | › | 30 |

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე | „ | 75 |
| კოკორი, მისივე | „ | 10 |
| კონა, მისივე | „ | 50 |
| ხომლი, მისივე | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე | „ | 40 |
| დედანი, მისივე | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გად. ცახელისა. | „ | 20 |
| ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა. | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით | 3 | „ |
| ქმუჩი სიტყვა | „ | 20 |
| ნაკვესი | „ | 20 |

# კურნება სიყრუესი

და

განგებ გაკეთებული ყურთა დაფები სმენის გახსნისათვის

ნიკოლსონისა.



ეს დაფები ან სულ არჩენენ სიყრუეს, ან ყურთა სმენას უმატებენ, რა გვარი სიყრუეც გინდა იყოს. ნებართვა მარტო ნიკოლსონსა აქვს ამ დაფების ხმარებისა სმენა-მოკლებულთა კურნებისათვის. საოცარი მაგალითები ყოფილა, რომ ამ დაფებით მორჩენილან დაყრუებულნი. ვინც ორს შვიდ-კაპეიკიანს ფოსტის მარკას გამოგვიგზავნის, მიიღებს დასურათებულს წიგნს, 80 გვერდიანს, რომელშიაც აღწერილია სამაგალითო შემთხვევანი სიყრუისაგან სრულად მორჩენისა; ამ წიგნშივეა დაბეჭდილი წერილები დოქტორებისა, ადვოკატებისა, წიგნების გამომცემლებისა და სხვა გამოჩენილ კაცებისა, რომელნიც მორჩენილან ამ დაფების შემწეობით და გულ-მოდგინებით ურჩევენ ყველას, ამ დაფების შემწეობას მიჰმართონ.

ადრესი: Ж. Г. Никольсонъ. J. H. Hikolson, 4 rue, Drouot, Paris.

(26—1)


Доз. цен. Тиф. 13 октября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე